ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 26 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 26 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N 13

2020 წლის 26 აგვისტო

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,
სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები პაატა გოგოლაძე, გივი თხელიძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, იამზე პაქსაშვილი, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, შალვა ლურსმანაშვილი, ირაკლი ფერაძე, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, ჯამბულ გამცემლიძე, იუზა კელენჯერიძე, ზურაბ ხაჩიძე, ინგა მაღრაძე, ქეთევან ზუმბაძე, მიხეილ ჭიპაშვილი სულ საკრებულოს 22 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენელი:

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

ივანე ჭიპაშვილი -საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ. შარიქაძე -ა.ა.ი.პ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი ,

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 22 წევრი

მომხრ 22

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის

თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, ცვლილებები მრავალ ასპექტს მოიცავს, დასუფთავებისათვის მანქანის შეძენა დასაბუთებულია, თუმცა უნდა გამკაცრდეს საწვავის ხარჯვა, ეპიდემიის კუთხით ჯანდაცვის დაფინანსების გაზრდასაც მხარს ვუჭერ, რადგან „მატარებლის“ აღდგენა ჩვენი მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანია ასევე ხელფასები გაეზრდება თანამშრომლებსაც, მერიამ უნდა გააქტიუროს საქმიანობა ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად და ხარისხიანად შესრულების კუთხით, საკრებულოს წევრის მ. ჭიპაშვილის მიერ დაყენებული წინადადება ღუდუმექეთის გზასთან დაკავშირებით სამართლიანია და ექსპერტიზის დანიშვნას მხარს დავუჭერ.

ჯ. გამცემლიძე დაინტერესდა საბავშვო ბაღის მასწავლებელთა ხელფასების გაიზრდება თუ არა, დაპირება იყო მერიიდან

ვ. გელაშვილმა უპასუხა, რომ იგეგმება გაზრდა

ი. მაღრაძემ აღნიშნა, რომ ცოტა გაურკვეველია მეორადი მანქანის შეძენა დასუფთავებისათვის ეს არის არაეფექტური ხარჯი, სახელფასო ზრდას ეპიდემიოლოგიურ სამსახურში მხარს ვუჭერ მადლობა მინდა ვუთხრა ამ თანამშრომლებს, მატარებლის აღდგენაც კარგია მაგრამ გაურკვეველია რატომ დაჭირდა რკინიგზას ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება თერმო სკრინინგის ჩასატარებლად, დევების რეაბილიტაცია არის კარგი, მაგრამ რატომ გახდა ახლა გადაუდებელი საჭიროება მაინტერესებს, ამ თანხით დავაგებდით რამდენიმე კილომეტრ გზას. თუ მოხდა იმ პროექტების განფასება, რომელთა დაფინანსებასაც ახლა გვთავაზობთ

პ. შარიქაძემ უპასუხა, რომ პროექტები ახალია და განფასებულიც არის.

ვ. გელაშვილმა ი. მაღრაძის მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა და აღნიშნა, რომ ახალი მანქანის ყიდვა კარგია, მაგრამ ძვირია 100 000 ლარამდე ჯდება, მის საშუალება არ გვაქვს, კონსოლიდირებული წესითაც აღარ შემოდის ისეთი გამავლობის ავტომანქანები, რომელსაც ჩვენ ვითხოვთ, რკინიგზისათვის 4000 ათასი ლარის გამოყოფაც გამართლებულია, რადგან ჩვენს მოსახლეობას ამით დიდი შეღავათი მიეცა, არსად სხვაგან საგარეუბნო მატარებლები არ აღუდგენიათ ჩვენს გარდა, დევები ხარაგაულისთვის სავიზიტო ბარათია და მე მიმაჩნია, რომ ამით კარგი საქმე კეთდება.

ი. კელენჯერიძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი საკითხია მატარებლის აღდგენა, აუცილებლობით არის გამოწვეული, მაგრამ ასევე მინიშვნელოვანია ღარიხევში დეკანოსიძეების გზის აღდგენაც, გზა სავალალოა, სასწრაფო ვერ გადის, პროექტი არსებობს ნუსხაში არ არის რა ხდება?

პ. შარიქაძემ უპასუხა, რომ ჩვენი სამსახური არ წყვეტს პროექტების დაფინანსების საკითხს

მ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ ღუდუმექეთის გზა მთლიანად, რომ ყოფილიყო ჩასმული ასეთ დრეში არ ჩავარდებოდით, თუ რაიმე ღონისძიება არ იქნება განხორციელებული პირობას გაძლევთ 7 სექტემბერს საკრებულოს სხდომაზე ხალხი აქ მოგაადგებათ

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი და მუხლობრივად კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი- ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებისათვის 30,0 ათასი ლარის გამოყოფის თაობაზე ერთი ერთეული ნარჩენების შემგროვებელ და გადამზიდი სპეც ავტომანქანის შესაძენად,

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 22 წევრი

მომხრ 22

წინააღმდეგი 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი-ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის 10,0 ათასი ლარის გამოყოფის თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 22 წევრი

მომხრ 22

წინააღმდეგი 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი-სკვერების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი იქნას 2020 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან 40,0 ათასი ლარი და მიმართული იქნას დევების მონუმენტის რეაბილიტაციისათვის.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 22 წევრი

მომხრ 22

წინააღმდეგი 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი- - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 15 281 476 ლარი გაიზარდოს 476 657 ლარით და განისაზღვროს 15 758 133 ლარი. მ. შ. გაიზარდოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტები 476 657 ლარით.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 22 წევრი

მომხრ 22

წინააღმდეგი 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის გადასახდელები 20 054 579 ლარი გაიზარდოს 556 657 ლარით და განისაზღვროს 20 611 236 ლარით;

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 22 წევრი

მომხრ 22

წინააღმდეგი 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**